

საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისათვის



პროექტის სახელწოდება:

არბიტრაჟის ინსტიტუტის განვითარება კერძო
სამართალური თვითობის მონაწილეთა
კანონიერი ინტერესების დასაცავად

(პროექტის განხორციელების მეოთხე კვარტლის დამასრულებელი ანგარიში)

პროექტი ხორციელდება : „ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის“ დაფინანსებით
გრანტის ნომერი: #470.

პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაცია:

ა.ი.პ. „საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისათვის“

მისამართი: თბილისი, 0179, შანიძის #8

ტელ/ფაქსი: 2 91 27 53

ელ.ფოსტა: info@glip.ge

ვებ-გვერდი: www.glip.ge

თბილისი, საქართველო
2012 წელი

არბიტრაჟის საკანონმდებლო ჩარჩოს და
სასამართლო პრაქტიკის შეფასების დასკვნა

შესავალი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით კერძო სამართლის სუბიექტებს გარანტირებული აქვთ შესაძლებლობა, რომ თავის შეხედულებისამებრ მიიღონ გადაწყვეტილება კერძო-სამართლებრივ ურთიერთობაში შევიდნენ თუ არა კონკრეტულ პირებთან და ურთიერთშორის თვითონ განსაზღვრონ უფლება-მოვალეობები, ისევე როგორც უფლება-მოვალეობების დარღვევის შემთხვევაშიც თვითონ აირჩიონ დაცვის სპეციალური ფორმები და საშუალებები. ცნობილია, რომ დარღვეული და სადავოდ ქცეული უფლების დაცვის საყოველთაოდ გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს სასამართლოსათვის სარჩელით მიმართვა; მაგრამ სასამართლო არ განიხილება უფლების დაცვის ერთადერთ ორგანოდ, რადგან დღითიდღე ფართოვდება უფლების დაცვის ალტერნატიული ფორმების გამოყენების შესაძლებლობა. ერთ-ერთ ასეთ ფორმას წარმოადგენს არბიტრაჟი.

საქართველოში 2010 წლის იანვრიდან სამოქმედოდ შემოღებულმა ახალმა კანონმა “არბიტრაჟის შესახებ”, პირველივე მუხლის მეორე პუნქტში მიუთითა, რომ არბიტრაჟი უფლებამოსილია განიხილოს პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ის ქონებრივი დავა, რომლის მოწესრიგებაც მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთს შორის. “არბიტრაჟის შესახებ” ახალმა კანონმა კიდევ უფრო განამტკიცა სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა დამოუკიდებლობა, თვითონ აირჩიონ არა მარტო უფლების დაცვის ესა თუ ის ფორმა, არამედ არბიტრაჟის მეშვეობით დავის გადაწყვეტის თაობაზე შეთანხმების მიღწევის შემდეგ თვითონვე განსაზღვრონ ის კონკრეტული არბიტრაჟი, რომელსაც მიანდობენ დავის გადაწყვეტას. მაგრამ აქვე ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ სახელმწიფო, რომელიც დაინტერესებულია სამოქალაქო-სამართლებრივი წყობის სიმტკიცით, მართლწესრიგის შენარჩუნებით,

ვერ მიანდობს თავისი მოქალაქეების თუ იურიდიული პირების სამართლებრივი დავების განხილვა-გადაწყვეტის საქმეს მხოლოდ კერძო არბიტრაჟებს, მიუხედავად იმისა, რომ ეს დავები კერძო სამართლებრივი ურთიერთობიდან არიან წარმოშობილი.

სწორედ ამიტაა განპირობებული, რომ “არბიტრაჟის შესახებ” კანონით განისაზღვრა საქართველოში არბიტრაჟის დამოუკიდებლობისა და მის საქმიანობაში სასამართლო ჩარევის ფარგლები. კერძოდ, კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არბიტრაჟი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს მხარეთა ან არბიტრაჟის მიერ განსაზღვრული საარბიტრაჟო განხილვის პროცედურით ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით. ხოლო იმავე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად კი დაუშვებელია ამ კანონით გათვალისწინებულ სამართლებრივ ურთიერთობებში სასამართლოს რაიმე სახით ჩარევა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ამ კანონით პირდაპირ არის გათვალისწინებული.

არბიტრაჟის, ისევე როგორც ნებისმიერი ინსტიტუტის არსებობა დამოკიდებულია მკაფიოდ განსაზღვრულ სამართლებრივ პრინციპებზე, რომლის ირგვლივაც უნდა მოხდეს მთლიანად ინსტიტუტის ჩამოყალიბება. არბიტრაჟი, როგორც დაპირისპირებულ მხარეთა შორის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმი, კვაზი-სასამართლო ინსტიტუტია, რომელიც მართალია შეიცავს არბიტრაჟისათვის დამახასიათებელ პროცედურულ წესებს, მაგრამ ამასთანავე მართლმსაჯულების ძირითად ფუნდამენტურ პრინციპებს ეფუძნება.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნა ყველა ტიპის ინსტიტუტისთვის ნდობის არსებობაა, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების დამოკიდებულებას კონკრეტული ინსტიტუტისადმი და მისი ეფექტურობის ექვივალენტურია. არბიტრაჟის ინსტიტუტის სწორად ფუნქციონირებისათვის აგრეთვე, მნიშვნელოვანი პრინციპია დამოუკიდებლობა და მიუკერძოებულობა. ერთგვარი სამართლებრივი ავტონომიურობა. ასევე, აღსანიშნავია, არბიტრაჟის და საარბიტრაჟო პროცედურების

გახსნილობა და ხელმისაწვდომობა მხარეებისათვის, რაც მოიაზრებს თავისუფალ კომუნიკაციას და ამყარებს ინსტიტუტისადმი ნდობას.

არბიტრაჟის ინსტიტუტის საკანონმდებლო ჩარჩოსა და პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა სამი ძირითადი პრობლემა, რაც ხელს უშლის არბიტრაჟს ჩამოყალიბდეს როგორც დამოუკიდებელი და ეფექტური ინსტიტუტი, რომელიც ისარგებლებს სამართალურთიერთობის მონაწილეთა ნდობით. პრაქტიკაში პრობლემად რჩება, რომ ვერ ხერხდება არბიტრაჟის ფორმირების (არბიტრების შერჩევის), არბიტრთა კვალიფიკაციის და დამუკიდებლობის საკითხების ეფექტური რეგულირება, ვერც საკანონმდებლო დონეზე და ვერც არსებული პრაქტიკით.

(i) არბიტრაჟის არჩევა და ფორმირება.

ზემოაღნიშნული პრინციპების რეალიზაცია წარმოუდგენელია თუ არ არსებობს არბიტრაჟის არჩევის, ფორმირების და არბიტრების შერჩევის სამართლიანი მექანიზმი.

დღეის მდგომარეობით არბიტრაჟის შემადგენლობა, არბიტრების დანიშვნის, აცილების და უფლებამოსილების შეწყვეტის წესი და პროცედურები განსაზღვრულია „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - **კანონი**) მე-3 თავში (მე-10 - მე-15-ე მუხლები).

კანონმდებლობით, არბიტრაჟი შედგება ერთი ან რამდენიმე არბიტრისაგან, რომელთა რაოდენობასა და დანიშვნის წესს განსაზღვრავენ მხარეები (კანონის მე-10 მუხლი). აღნიშნული ნორმა განმტკიცებულია აგრეთვე, კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტით, რომლის მიხედვითაც არბიტრის (არბიტრების) და არბიტრაჟის თავმჯდომარის დანიშვნის პროცედურა დგინდება მხარეთა შეთანხმებით. ამასთან, კანონი ითვალისწინებს არბიტრაჟის ფორმირების, ჩვენის აზრით სამართლიან და თანასწორობის პრინციპზე დამყარებულ წესს, მხოლოდ, მხარეთა შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში. ამ დროს, სამი არბიტრისაგან შემდგარი არბიტრაჟის დროს თითოეული მხარე ნიშნავს ერთ არბიტრს და ამ წესით დანიშნული ორი არბიტრი

ნიშნავს არბიტრაჟის თავმჯდომარეს. თუ ერთ-ერთი მხარე არ დანიშნავს არბიტრს მეორე მხარის მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის ვადაში ან თუ ორი არბიტრი მათი დანიშნიდან 30 დღის ვადაში ვერ შეთანხმდება მესამე არბიტრის დანიშვნაზე, ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე არბიტრს ნიშნავს სასამართლო განცხადების წარმოებაში მიღებიდან 30 დღის ვადაში (კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი), ხოლო ერთი არბიტრისაგან შემდგარი არბიტრაჟის შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან არბიტრის დანიშვნაზე, ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე არბიტრს ნიშნავს სასამართლო განცხადების წარმოებაში მიღებიდან 30 დღის ვადაში (კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი. ამასთან, არბიტრის დანიშვნისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს მხარეთა მიერ შეთანხმებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი არბიტრის დანიშვნის უზრუნველსაყოფად. ამრიგად, არბიტრაჟის ფორმირების კანონით განსაზღვრული წესი ეფუძნება მხარეთა თანასწორობას და პარიტეტს, ხოლო მესამე ანდა ერთპიროვნულ არბიტრზე შეთანხმების მიუღწევლობისას საკითხი წყდება ნეიტრალური მხარის – საერთო იურისდიქციის სასამართლოს მიერ, რაც შეიძლება ჩაითვალოს არბიტრაჟის ფორმირების სამართლიან მექანიზმად.

თუმცა, პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე ნათელი ხდება, რომ აბსოლუტურად უმრავლეს შემთხვევაში მხარეები არ იყენებენ კანონით დადგენილ არბიტრაჟის ფორმირების დაბალანსებულ წესს და თანხმდებიან არბიტრაჟის ფორმირების სხვა პროცედურაზე, რამაც შეიძლება დაუშვას ერთ-ერთი მხარის (მხარეთა) ინტერესების არათანაბრად წარმოდგენა. მხარეთა ასეთ არათანაბარ პირობებზე „ნებაყოფლობითი“ შეთანხმება ბევრ კითხვის ნიშანს ბადებს, მხარეთა ნების თავისუფლად გამოვლენის თვალსაზრისით. არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი იმისა, რომ კრედიტორები (გამსესხებლები, საკრედიტო ორგანიზაციები და სხვა) იყენებენ ბაზარზე დომინანტურ მდგომარეობას და თავს ახვევენ კონტრაგენტებს კონკრეტულ მუდმივმოქმედ არბიტრაჟს და არბიტრების ფორმირების ისეთ წესს, რომელიც განსაზღვრულია თავად ამ მუდმივმოქმედი არბიტრაჟების დებულებით. მუდმივმოქმედი არბიტრაჟების უმრავლეს შემთხვევაში განხილვა ხდება ერთ არბიტრის მეშვეობით (საარბიტრაჟო წარმოების გაიაფების მიზნით), რომელსაც არჩევს და ნიშნავს თავად არბიტრაჟის

თავმჯდომარე, იმავე მუდმივმოქმედი არბიტრაჟის არბიტრების სიიდან. აქვე აღვნიშნავთ, რომ ერთ-ერთი კონტრაგენტის მიერ საარბიტრაჟო დათქმის დადებისას საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენების საკითხი პროექტის სამომავლო კვლევის საგანია და საჭიროებს პრაქტიკის დამტებით ანალიზს.

არსებულის ნაკლოვანი პრაქტიკის საწინააღმდეგოდ, მხარე სწორედ იმიტომაც უნდა ირჩევდეს სასამართლოსაგან ალტერნატიული გადაწყვეტის გზას, რომ მას მეტი უფლებები აქვს საარბიტრაჟო პროცედურებში, ვიდრე სასამართლოში და აქ ძირითადი უფლება არბიტრის არჩევის თავისუფლებაა. მხარეს არბიტრაჟის არჩევისას ნდობის გამოხატვის უფლება აქვს და ეს ყველაზე მნიშვნელოვანია სამართლიანობის შეგრძნებისათვის. საინტერესოა დასავლური გამოცდილებაც, როდესაც არბიტრაჟი, როგორც ინსტიტუტი საუკუნეებს ითვლის და სადაც ნდობის ფაქტორი იმდენადაა განვითარებული, რომ ამას თავად კონკრეტული არბიტრაჟის კეთილი სახელი და რეპუტაცია განაპირობებს. ჩვენთან, სადაც ინსტიტუტი ზოგადად ეხლა ყალიბდება, ნდობის განვითარებაში მთავარი როლი არბიტრებმა უნდა იტვირთონ, ვიდრე არბიტრაჟებმა. თუ ჩამოყალიბდება ავტორიტეტული არბიტრების კორპუსი, რომელიც ისარგებლებს საზოგადოების მაღალი ნდობით, მათი მონაწილეობით კონკრეტული არბიტრაჟების სწორად ფორმირება სავსებით რეალური გახდება.

არბიტრაჟი კერძო სტრუქტურაა და უფრო ავტონომიურია, ვიდრე ის პირ(ებ)ი ვინც უშუალოდ იღებს გადაწყვეტილებას. არბიტრები არბიტრაჟის წევრები არიან და მასთან დამოკიდებული პირებს წარმოადგენენ. ხელშეკრულება მათთან არბიტრაჟის სახელით ფორმდება და თუ არბიტრაჟის პოლიტიკის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებები გაჩნდება, ასეთი არბიტრი მალე ხელშეკრულების გარეშე დარჩება და ამდენად ვერ გახდება კონკრეტული არბიტრაჟის არბიტრი. თუ არბიტრი დამოუკიდებელი იქნება არბიტრაჟისგან და მხოლოდ მხარეს ექნება მისი არჩევის უფლება, ავტომატურად წარმოიქმნება არბიტრების ინსტიტუტი, როგორც კონკურენტუნარიანი პირებისა, რომელთა არსებობა თავად განსაზღვრავს მათდამი ნდობის ხარისხს.

(ii) არბიტრაჟის დამოუკიდებლობა და ინტერესთა კონფლიქტი

არბიტრაჟის ინსტიტუტის დამოუკიდებლობისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორია ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, რომ არბიტრაჟების მიერ ვერ ხერხდება ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება. მაგალითად, მუდმივმოქმედი არბიტრაჟების ნაწილი საკრედიტო დაწესებულებების ანდა მათთან დაკავშირებული პირების პირდაპირ თუ არაპირდაპირ მფლობელობაშია. აგრეთვე, ხშირია შემთხვევები, რომ მუდმივმოქმედი არბიტრაჟების პარტნიორებად გვევლინებიან პირები, მათ შორის იურიდიული ფირმების წარმომადგენლები, რომლებიც იმავდროულად საადვოკატო მომსახურებას უწევენ იმ საკრედიტო დაწესებულებებს, გამსესხებლებს, რომელთა დავებიც განიხილება მათ მფლობელობაში მყოფი არბიტრაჟების მეშვეობით. სახეზეა კლასიკური ინტერესთა კონფლიქტი, რომელიც საკანონმდებლო დონეზე პირდაპირ არაა აკრძალული.

ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევები გვხვდება სასამართლო პრაქტიკის ანალიზისას. მაგალითად, თბილისის სააპელაციო სასამართლომ უარი უთხრა მხარეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე, ინტერესთა კონფლიქტის არსებობის გამო (სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №28/2130-11; 20.07.2011).

სასამართლომ ინტერესთა კონფლიქტად მიიჩნია ის გარემოება, რომ საარბიტრაჟო პროტენზიის მქონე იურიდიული პირის საწესდებო კაპიტალის 67%-ის და დავის გამხილველი მუდმივმოქმედი არბიტრაჟის საწესდებო კაპიტალის 16.65%-ის წილის მესაკუთერს ერთი და იგივე პირი წარმოადგენდა. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ: „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობის და აღსრულების უარის თქმის საფუძვლები. აღნიშნული მუხლის „ბ.ბ“ პუნქტით მხარეს უარი ეთქმება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობაზე თუ იგი ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს. ამავე გადაწყვეტილებაში სასამართლომ განმარტა: იმისდა მიუხედავად, რომ არც სამოქალაქო საპროცესო კოდექსი და არც „არბიტრაჟის შესახებ“ კანონი არ შეიცავს „საჯარო წესრიგის“ კანონისმიერ დეფინიციას, ნორმის ლოგიკური

ანალიზიდან გამომდინარე საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, რომლითაც არსებითად ილახება მხარეთა საპროცესო უფლება, მისი საქმე განიხილოს დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა არბიტრამა, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს. ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ არბიტრი მიუკერძოებელია, თუ არ არსებობს რაიმე ისეთი გარემოება, რომელმაც შეიძლება წარმოშვას საფუძვლიანი ეჭვი არბიტრის მიკერძოებასთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, აღნიშნული არბიტრის ან არბიტრაჟის თაობაზე არსებობდა თუ არა საარბიტრაჟო შეთანხმება.

ამდენად, ზემოაღნიშნული სასამართლო საქმის ანალიზიდან ნათელი ხდება, რომ ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა პირდაპირ და დეტალურად არაა რეგლამენტირებული კანონმდებლობით, რაც ნაკლოვანებად შეიძლება მივიჩნიოთ, თუმცა სასამართლო პრაქტიკით აღნიშნული განიხილება, როგორც საჯარო წესრიგის დაღვევა.

აქვე აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული კონკრეტული საქმისგან გასხვავებით, პრაქტიკაში ძალზე ძნელი დასადგენია მხარეთა და არბიტრაჟებს შორის ურთიერთკავშირის და შესაბამისად ინტერესთა კონფლიქტის არსებობის ფაქტი. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, საკრედიტო დაწესებულებები და ბაზარზე დომინანტური პოზიციის მქონე ორგანიზაციები მუდმივმოქმედი არბიტრაჟების დაფუძნებისას იყენებენ ცრუმაგიერ მფლობელებს და ზოგიერთ შემთხვევაში ოფშორულ ზონებში რეგისტრირებულ კომპანიებს, სადაც საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრის (ultimate beneficial owner) დადგენა შეუძლებელია. შესაბამისად, არსებობს სამართლებრივი შესაძლებლობა იმისა, რომ დაინტერესებულმა მხარემ დააფუძნოს მასთან დაკავშირებული მუდმივმოქმედი არბიტრაჟი და იქვე მოახდინოს თავისივე დავების განხილვა. აღსანიშნავია, რომ მუდმივმოქმედი არბიტრაჟების დამფუძნებლების და არბიტრების შესახებ ინფორმაციის მონიტორინგი პროექტის სამომავლო კვლევის საგანია და საჭიროებს პრაქტიკის დამატებით ანალიზს.

ასევე პრობლემატურად გვეჩვენება, მუდმივმოქმედი არბიტრაჟებისა და კონკრეტული არბიტრების ურთიერთდამოკიდებულების ხარისხი. ყოველი მუდმივმოქმედი

არბიტრაჟი დამოუკიდებელი მეწარმე სუბიექტია, რომელიც თავად ახდენს არბიტრთა სიის ფორმირებას. არბიტრები არბიტრაჟის წევრები არიან და მასთან დამოკიდებული პირებს წარმოადგენენ, რადგანაც არბიტრაჟის ხელმძღვანელობის მიერ არიან შერჩეულები. შესაბამისად, თუ იარსებებს არბიტრაჟის პოლიტიკის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებები გაჩნდება დიდი რისკი, რომ ასეთი არბიტრი გამოყვანილი იქნება არბიტრთა სიიდან. მიგვაჩნია, რომ აქ გასათვალისწინებელია საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილება არბიტრსა და არბიტრაჟებს შორის კომპეტენციათა მკვეთრას გამიჯვნის და არბიტრთა დამოუკიდებლობის გარანტიების შექმნის კუთხით. აღნიშნული საჭიროებს საკანონმდებლო დონეზე ახლებურ რეგლამენტაციას, რადგანაც არბიტრი უნდა იყოს სრულიად დამოუკიდებელი მუდმივმოქმედი არბიტრაჟისგან და მხოლოდ მხარეს უნდა შეეძლოს მისი არჩევა.

ამასთან, მიგვაჩნია, რომ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მექანიზმი საკანონმდებლო დონეზე უნდა იქნას დარეგულირებული, მათ შორის მუდმივმოქმედი არბიტრაჟების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის განსაზღვრის, დამფუძნებელთათვის გარკვეული შეზღუდვის დაწესების და არბიტრების დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

(iii) არბიტრების კვალიფიკაცია

არბიტრაჟების (არბიტრის) ნდობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კვალიფიკაციას, რაც აგრეთვე არაა რეგულირებული კანონმდებლობით. ანალიზი გვიჩვენებს, რომ ძირითადი დარღვევები, სწორედ კვალიფიკაციის ნაკლებობის შედეგია.

‘არბიტრაჟის შესახებ’ საქართველოს კანონის რევიზირებისას გამოვლინდა, რომ არბიტრს არსებული საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად რაიმე პროფესიული ან საქმის განხილვისას სავალდებულო პროფესიული უნარის ქონა არ მოეთხოვება.

აღნიშნული კანონის მე-2 მუხლი ეხება კანონში გამოყენებულ ტერმინებს, თუმცა 'არბიტრის' როგორც ასეთი, ტერმინის განმარტება აღნიშნულ მუხლში არ ფიქსირდება და შესაბამისად, ლოგიკურიცაა რომ კანონი არ არეგულირებს არბიტრისადმი რაიმე სახის საკვალიფიკაციო ან/და პროფესიული გამოცდილების მოთხოვნებს, საუბარი ზედმეტია არბიტრის პიროვნული თვისებების თაობაზე რაიმე სახის წინაპირობების მოთხოვნის არსებობის თაობაზე.

აღსანიშნავია, რომ 'არბიტრაჟის შესახებ' საქართველოს კანონის მე-16 მუხლი არეგულირებს 'არბიტრაჟის კომპეტენციას', თუმცა მუხლის შინაარსიდან დგინდება, აღნიშნული მუხლით მოწესრიგებულია მხოლოდ არბიტრაჟის უფლებამოსილებანი (სიტყვა კომპეტენციის ცალმხრივი განმარტების კუთხით) და არა როგორც კომპეტენცია, კვალიფიკაციის მნიშვნელობით.

შესაბამისად, ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ნათელია, რომ მოქმედი საკანონმდებლო აქტი არ აწესრიგებს არბიტრისადმი რაიმე სახის კვალიფიკაციასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, რაც მოქმედი კანონის ერთ-ერთ ხარვეზად მიგვაჩნია.

საკანონმდებლო ხარვეზის გამოსწორების მიზნებისათვის მივიჩნვეთ, რომ კანონში უნდა გაიწეროს კონკრეტული მოთხოვნები, რასაც არბიტრი უნდა აკმაყოფილებდეს.

შერჩეულ არბიტრთა პროფესიული კომპეტენციების ფარგლების განსაზღვრას უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. საარბიტრაჟო განხილვის პროცედურულ ნიუანსებს შეუძლიათ გავლენა იქონიონ საბოლოო გადაწყვეტილებაზე¹, ამიტომ უპრიანია თუ საკანონმდებლო დონეზე განისაზღვრება არბიტრთა კვალიფიკაციის შესახებ სპეციალური ნორმები.

სამართლიანად და მიუკერძოებლად მოქმედება (to act fairly and impartially) არბიტრაჟის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ვალდებულებაა, რომელსაც ანგლო-საქსური საარბიტრაჟო კანონმდებლობა განამტკიცებს, და შესაბამისად აღნიშნული პრინციპი სავალდებულოა

¹ ცერცვაძე, გიორგი, საერთაშორისო არბიტრაჟი, თბილისი 2008, გვ. 282

რათა არბიტრის კვალიფიკაცია პასუხობდეს გარკვეულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რაც მხარეთათვის მათი პრეტენზიის პროფესიულად განხილვის წინაპირობა შეიძლება გახდეს.

აღნიშნულს კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას სძენს ის გარემოება, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის ექსკლუზიური უფლებამოსილება მხოლოდ არბიტრების პრეროგატივაა და არა საარბიტრაჟო ინსტიტუტების². შესაბამისად, ორმაგად მნიშვნელოვანია თითოეული არბიტრის კვალიფიკაციის განსაზღვრა, რადგან ალბათობა იმისა, რომ საქმეს იხილავდეს კარგი რეპუტაციის საარბიტრაჟო დაწესებულება და თავად განმხილველი არბიტრი არ პასუხობდეს პროფესიულ თუ პიროვნულ მოთხოვნებს სავსებით რეალურია.

არბიტრები საარბიტრაჟო განხილვის ძირითად მონაწილე პირებს წარმოადგენენ, მათზეა დამოკიდებული საარბიტრაჟო განხილვის მიმდინარეობის, ასევე საბოლოო გადაწყვეტილების ხარისხი. შესაბამისად, არბიტრთა კვალიფიკაციაზე, მათ საქმიან და პირად თვისებებზე, პასუხისმგებლობის გრძნობაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, შესაბამისად, საარბიტრაჟო განხილვამდე ივარაუდება, რომ მხარეებს უნდა უნდოდეთ შეათანხმონ არა მხოლოდ არბიტრთა რაოდენობა განხილვის მიზნებისათვის, არამედ არბიტრის პროფესიული და საქმიანი თვისებები.

არბიტრის არჩევა გადამწყვეტ როლს თამაშობს საარბიტრაჟო პროცესის წარმატებით ან წარუმატებლად დასრულებაში, შესაბამისად, საჭიროა იმ კრიტერიუმების დაზუსტება, რაც შეიძლება მისაღებად იქნეს მიჩნეული. ასევე მნიშვნელოვანია, თუ როგორ და რა მოცულობით უნდა განხორციელდეს არბიტრად დასანიშნი კანდიდატურის პიროვნების დეტალური შერჩევა-შემოწმება, მათ შორის მსგავსი არბიტრების დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის დადგენა შერჩევის პროცესში³.

² ცერცვაძე, გიორგი, საერთაშორისო არბიტრაჟი, თბილისი 2008, გვ.283

³ Wegen, Gerhard, Choosing Arbitrators, 2004, p.222

შესაბამისად, რეკომენდაციის სახით, ჩვენის აზრით არსებული საკანონმდებლო ხარვეზის შევსების და აღმოფხვრის მიზნებისათვის, მიგვაჩნია, რომ არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონში უნდა შევიდეს ცვლილებები და არბიტრს საკვალიფიკაციო მოთხოვნების სახით დაუდგინდეს:

ა) არბიტრს, უნდა ჰქონდეს არბიტრად მუშაობის პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება

ბ) არბიტრს უნდა ჰქონდეს განსაზღვრული თეორიული ცოდნა ისევე როგორც სპეციალური ცოდნა დავის საგანზე

გ) არბიტრი უნდა ხასიათდებოდეს დამოუკიდებლობით, მიუკერძოებლობით და ნდობის მაღალი ხარისხით მხარეების თვალში.

დ) არბიტრი უნდა იყოს დაჯილდოებული პიროვნული თვისებებით, კერძოდ, ახასიათებდეს დიალოგისათვის მზაობა, კოლეგიალურობა, მშვიდად განხილვის და შეფასების უნარი, ადამიანების გაგების უნარი.

ე) ენების ცოდნა

ვ) ბიზნესის და ეკონომიკის იმ სფეროს ცოდნა, რომელშიც მხარეები საქმიანობენ

ზ) საქმის განხილვასა და გადაწყვეტაში საკმარისი დრო.

თ) არბიტრებად როგორც წესი იურისტები მუშაობენ, ძირითადად ადვოკატები, რომლებზეც ამ საქმიანობის განხორციელებისას უნდა გავრცელდეს საადვოკატო ეთიკის ნორმები.

ზემოაღნიშნული საკითხი, კერძოდ, არბიტრისადმი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენა მიგვაჩნია სასურველად მოქმედი კანონის კიდევ უფრო გაუმჯობესებისა და დახვეწის მიზნებისათვის, ისევე როგორც სამოქალაქო საზოგადოებისათვის უფრო მეტად ხარისხიანი საარბიტრაჟო საქმისწარმოების შეთავაზების კუთხით.

(iv) სასამართლო პრაქტიკის ანალიზი

სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობა–აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველები:

სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა რამდენიმე ძირითადი პრობლემური საკითხი, რომელიც საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი გახდა:

1. საარბიტრაჟო შეთანხმება:

ჩვენს ხელთ არსებული სასამართლო პრაქტიკის ანალიზის მიხედვით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ სააპელაციო სასამართლომ დაადგინა პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც საარბიტრაჟო დათქმა მხოლოდ, მაშინაა კანონშესაბამისი, თუ მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრულია კონკრეტული არბიტრი (მუდმივმოქმედი არბიტრაჟი), თანაც აღნიშნული დათქმა უნდა იყოს უალტერნატივო.

აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ რეალობაში საბაზრო ძალაუფლების მქონე დომინანტი მხარე იყენებს არბიტრაჟზე ზოგად მითითებას, ან გამოყენებულია ტერმინი “მოსარჩლის არჩევით”, რაც სასამართლომ არ ჩათვალა, როგორც არბიტრაჟზე შეთანხმება. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ უმეტესი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებისა უქმდება სწორედ საარბიტრაჟო შეთანხმების კანონშესაბამობის ანუ “არჩევის უფლების” არ არსებობის გამო.

„არბიტრაჟის შესახებ“ კანონის მე-8.1. პუნქტის თანახმად, საარბიტრაჟო შეთანხმება არის შეთანხმება, რომლითაც მხარეები თანხმდებიან, განსახილველად გადასცენ არბიტრაჟს ყველა ან ზოგიერთი დავა, რომელიც წარმოიშვა ან შეიძლება წარმოიშვას მათ შორის ამა თუ იმ სახელშეკრულებო ან სხვა სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე. სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ არცთუ იშვიათად მხარეთა შორის საარბიტრაჟო შეთანხმება არ იდება თანასწორუფლებიანობის პრინციპის საფუძველზე. პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს საარბიტრაჟო შეთანხმების სამართლებრივი ბუნება, რაც სამწუხაროდ “არბიტრაჟის შესახებ” კანონით სრულად და ამომწურავად არ არის განმარტებული. ამიტომაც ამ პრობლემის გადასაჭრელად

დიდი მნიშვნელობა ენიჭება სასამართლო პრაქტიკის სწორად ჩამოყალიბებას. ძირითად შემთხვევებში, მხარეთა შეთანხმებაში მითითებული არ არის კონკრეტული არბიტრაჟი, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს დავა.

სრულიად გასაზიარებელია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს შემდეგი განმარტება: “არბიტრაჟის შესახებ” საქართველოს კანონის 45-ე მუხლის პირველი ნაწილის ბ.ა ქვეპუნქტის მიხედვით, მხარეს შეიძლება უარი ეთქვას საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დაადგენს, რომ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დავა არ შეიძლება იყოს საარბიტრაჟო განხილვის საგანი. არბიტრაჟისათვის დავის განსახილველად გადაცემის შეთანხმების შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს მხარეთა ნამდვილ ნებას კონკრეტული სამოქალაქო დავის კონკრეტული არბიტრაჟის მიერ საარბიტრაჟო წესით განხილვაზე. თუ ასეთი დათქმა არ არსებობს, არბიტრაჟი არ არის უფლებამოსილი განიხილოს დავა, ხოლო დავის განხილვის შემთხვევაში არსებობს გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი. იქედან გამომდინარე, რომ მხარეები კონკრეტულ მუდმივმოქმედ ან კერძო არბიტრაჟზე არ შეთანხმებულან, დაუშვებელია საარბიტრაჟო დათქმიდან ორი ან მეტი არბიტრაჟის განსჯადობა გამომდინარეობდეს. მოქმედი კანონმდებლობა უშვებს არბიტრაჟის მიერ საქმის განხილვას მხოლოდ კონკრეტულ არბიტრაჟზე მხარეთა შეთანხმების არსებობის შემთხვევაში.

ამ საკითხთან დაკავშირებით ვფიქრობთ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 3 აპრილის განჩინება საქმეზე №2ბ/1213-12. სასამართლოს შემადგენლობამ მიუთითა, რომ მხარეები ნამდვილი ნების გამოხატვის საფუძველზე ერთობლივად და თანასწორად განსაზღვრავენ უკვე წარმოშობილ ან სამომავლო შესაძლო დავების გადაწყვეტის წესს. შესაბამისად, ორივე მხარეს თანაბარ პირობებში და თანასწორობის საწყისებზე შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება დავის არბიტრაჟის მიერ განხილვის თაობაზე. ნებისმიერი შეთანხმება, რომლითაც მხარეებს სურთ მათ შორის არსებული დავის განხილვა არბიტრაჟის მიერ, შინაარსობრივად უნდა

შეიცავდეს იმ მინიმუმს, რომელიც აუცილებელია საარბიტრაჟო შეთანხმებად მისი კვალიფიკაციისათვის. განსახილველ შემთხვევაში დავა არ შეიძლება იყოს საარბიტრაჟო განხილვის საგანი, ამიტომაც უარი ეთქვას განმცხადებელს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე. ჩვენის მხრივ დავძენთ, რომ აღნიშნული განჩინების მსგავსად დასაბუთებული განჩინებები უდავოდ ხელ შეუწყობს ამ საკითხთან დაკავშირებით სამართლებრივად დასაბუთებული და სწორი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

შუალედური დასკვნა:

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არბიტრაჟის შესახებ კანონის მე-8 მუხლი, სრულად და ამომწურავად არ ახდენს საარბიტრაჟო შეთანხმების დეფინიციას, რაც თავისთავად ნეგატიურ ასახვას ჰპოვებს პრაქტიკაში. აღნიშნული ნორმა საჭიროებს დამატებით რეგლამენტაციას და დეტალიზაციას.

2. საჯარო წესრიგი :

სააპელაციო სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს ის, რომ ასეთი გადაწყვეტილება უნდა შეესაბამებოდეს საჯარო წესრიგს. “არბიტრაჟის შესახებ” საქართველოს კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის ბ.ბ ქვეპუნქტის თანახმად, იმ ქვეყნის მიუხედავად, სადაც გამოტანილი იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, ამ გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე მხარეს შეიძლება უარი ეთქვას, თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს. იურიდიულ ლიტერატურაში საჯარო წესრიგის ცნებისა და მისი შემადგენელი ელემენტების განსაზღვრის თაობაზე აზრთა სხვადასხვაობაა, რომელზედაც დეტალურად შევრჩერდებით საკითხის აქტუალურობის გამო.

კონტინენტურ სამართალში ერთმანეთისაგან განასხვავებენ პოლიტიკურ საჯარო წესრიგს და ეკონომიკურ საჯარო წესრიგს. პირველს განეკუთვნება ყველა ის ნორმა, რომლებიც არ შეეხებიან ეკონომიკურ ურთიერთობებს და განსაზღვრავენ

სახელმწიფოს, ოჯახისა და ინდივიდის ძირეულ ინტერესებს. ეკონომიკური საჯარო წესრიგის ნორმების როლისა და მნიშვნელობის ზრდა დაკავშირებულია სახელმწიფოს ახალ ფუნქციებთან, რომლებიც მას აქვს სოციალურ სახელმწიფოდ აღიარებასთან დაკავშირებით. ამით სახელმწიფოს ენიჭება დამატებითი უფლებები საბაზრო ეკონომიკის მართვის სფეროში. იურიდიულ ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად, საჯარო წესრიგი შეიძლება იყოს აგრეთვე მატერიალურ-სამართლებრივი და საპროცესო-სამართლებრივი. საპროცესო საჯარო წესრიგი დარღვეულად მაშინ ითვლება, როცა წარმოებული საპროცესო მოქმედებები ეწინააღმდეგება სამართლებრივ სახელმწიფოში პროცესის წარმოების ელემენტარულ პრინციპებს.

“საჯარო წესრიგის ცნება” ცნობილია თითქმის ყველა ქვეყნის საერთაშორისო კერძო სამართლისათვის, მაგრამ მისი დეფინიცია არც დოქტრინით და არც კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის. საჯარო წესრიგის შემადგენლად ითვლება ისეთი პრინციპები, როგორცაა ნდობა და კეთილსინდისიერება; საჯარო წესრიგის ცნებაში იგულისხმება სამოქალაქო ბრუნვის ისეთი ფუნდამენტური პრინციპები, როგორცაა საკუთრების, ხელშეკრულებისა და მეწარმეობის თავისუფლებანი, რომელთა დარღვევით ილახება არა მხოლოდ ურთიერთობის კონკრეტული მონაწილის უფლებები, არამედ სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესები.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ იურიდიულ ლიტერატურაში სრულიად მართებულიააა შეჯერებული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლომ უნდა დაადგინოს, როდის ჩაითვლება საჯარო წესრიგი დარღვეულად. ამდენად სწორი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრებას უდიდესი მნიშვნელობა ეკისრება.

საინტერესოა სააპელაციო სასამართლოს განმარტება: „საჯარო წესრიგის საწინააღმდეგოდ ჩაითვლება ინდივიდის, პიროვნების, პირადი და ეკონომიკური მოქმედების თავისუფლების, არათანაზომიერი და შესაბამისად სამართლებრივი

წესრიგისთვის მიუღებელი შეზღუდვა, ამიტომ მართლმსაჯულების ორგანო – სასამართლო, ვალდებულია კანონით პირდაპირ და ზუსტად დარეგულირებულ შემთხვევაში საკითხი გადაწყვიტოს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ ძირითად ფასეულობებთან შესაბამისობის თვალსაზრისით.“

საჯარო წესრიგი არის იმ ძირითადი პრინციპების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს სამოქალაქო საზოგადოების სტაბილურ, სამართლიან, თანასწორუფლებიან და მშვიდობიან თანაცხოვრებას. შეზღუდვა უნდა განხორციელდეს კონკრეტული სამართლის ნორმის საფუძველზე, მისი არსებობის შემთხვევაში, რაც ხშირ შემთხვევაში არ ხდება. აქედან გამომდინარე, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების უმრავლესობა, როგორც პრაქტიკის ანალიზმა აჩვენა, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს.

სააპელაციო სასამართლოების პრაქტიკის შესწავლა - განზოგადებამ აჩვენა, რომ საჯარო წესრიგის განმარტებისას სასამართლო მიუთითებს ისეთ გარემოებებზე, რომლითაც არსებითად ილახება მხარის საპროცესო უფლებები და კანონიერი ინტერესები, მაგალითად, მხარეს არ მიეცა შესაძლებლობა წარედგინა შესაგებელი; მხარეს არ ეცნობა სხდომის ჩატარების დრო და ადგილი; კრედიტორს პირდაპირ საკუთრებაში გადაეცა გირავნობის ან იპოთეკის საგანი; საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არ შეიცავს სამოტივაციო ნაწილს; მხარეთა შორის მორიგების ტექსტი მნიშვნელოვნად განსხვავდება გადაწყვეტილებით დამტკიცებული ტექსტისაგან; საარბიტრაჟო განხილვის სხდომის ოქმს ხელს აწერს სხვა მოსამართლე, ხოლო გადაწყვეტილებას კი სულ სხვა მოსამართლე; საქმეში არ არის სხდომის ოქმი (სააპელაციო სასამართლო ასეთ შემთხვევაში უთითებს სსსკ-ის 394-ე მუხლზე და ამ ნორმაზე მითითებით ადგენს გადაწყვეტილების საჯარო წესრიგთან წინააღმდეგობას.). საჯარო წესრიგის დარღვევად მიიჩნევა, თუ საარბიტრაჟო წარმოების ან/და გადაწყვეტილების მიღებისას არბიტრი მოქმედებდა არაობიექტურად და მიკერძოებულად; საჯარო წესრიგის დარღვევად მიიჩნევა არბიტრაჟის მიერ სამართლებრივად დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღება, აგრეთვე არბიტრაჟის მიერ დავის გადაწყვეტისათვის დადგენილი ვადების დარღვევა.

სააპელაციო სასამართლოს პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დასკვნის გაკეთება იმის თაობაზეც, რომ არცთუ იშვიათია შემთხვევები, როდესაც განმცხადებელს უარი ეთქვა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ განცხადების მიღებაზე იმ საფუძველით, რომ სასამართლოში წარმოდგენილ საქმის მასალებში არ არის საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის ოქმი, მიუხედავად იმისა, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებიდან ირკვევა, რომ არბიტრაჟის მიერ საქმე განხილული იქნა მხარეთა დასწრებით ზეპირი მოსმენის საფუძველზე, აგრეთვე საქმის მასალებში არ მოიპოვება გადაწყვეტილებაში მითითებული მტკიცებულებები, შესაბამისად შეუძლებელია სასამართლოს მხრიდან იმის შემოწმება, ხომ არ არღვევს არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საჯარო წესრიგს.

საჯარო წესრიგის დარღვევის საქმეების კვლევისას საინტერესო იყო სააპელაციო სასამართლოს განმარტებები შემდეგ საქმეებზე:

- 2010 წლის 12 სექტემბრის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით ყადაღა დაედო უძრავ ქონებას, თუმცა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ამონაწერის თანახმად დასტურდება, რომ ყადაღადადებული ქონების მესაკუთრე არ არის საარბიტრაჟო მოპასუხე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198.2-ე მუხლის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფა შეიძლება იყოს ყადაღის დადება ქონებაზე, ფასიან ქალაქებსა თუ ფულად სახსრებზე, რომელიც ეკუთვნის მოპასუხეს და არის მასთან ან სხვა პირთან. აღნიშნული საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით დაირღვა პირის საკუთრების უფლება, რადგანაც კონსტიტუციის 21-ე მუხლით აღიარებულია საკუთრების უფლება და ამ უფლების შეზღუდვა ხორციელდება მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით. მოცემულ შემთხვევაში კი საკუთრების უფლების შეზღუდვა წარმოადგენს მართლწესრიგის საზიანო ქმედებას, რაც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს.

- ერთ-ერთ საარბიტრაჟო საქმეზე სააპელაციო სასამართლომ უარუ უთხრა გამცხადებელს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ.ბ“ ქვეპუნქტის თანახმად (საჯარო წესრიგის დარღვევა) იმ საფუძველით, რომ გადაწყვეტილება, რომლის ცნობასა და აღსრულებასაც ითხოვს განმცხადებელი, არ შეიცავდა სამოტივაციო ნაწილს, რაც სასამართლომ მიიჩნია, როგორც საჯარო წესრიგის დარღვევა.
- ერთ-ერთ საარბიტრაჟო საქმეზე სააპელაციო სასამართლომ უარუ უთხრა გამცხადებელს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ.ბ“ ქვეპუნქტის თანახმად (საჯარო წესრიგის დარღვევა) იმ საფუძველით, რომ დავის განმხილველმა კერძო არბიტრაჟმა კანონით დადგენილი წესით არ შეატყობინა მხარეებს საარბიტრაჟო სარჩელის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის დადგენის თაობაზე; სატანადო წესით არ ჩააბარა საარბიტრაჟო სარჩელი საარბიტრაჟო მოპასუხეს, რითაც მას არ მიეცა შესაძლებლობა წარედგინა საარბიტრაჟო შესაგებელი (მოსაზრებები) საარბიტრაჟო სარჩელთან დაკავშირებით, რაც ასევე მიიჩნია სასამართლომ როგორც საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო.
- საინტერესოა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 26 აპრილის განჩინება საქმეზე №2ზ/294-10. პალატამ განმცხადებლის მოთხოვნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე არ დააკმაყოფილა იმის გამო, რომ სადავო უძრავი ქონება მამკვიდრებლის საკუთრებაში არც ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროში და არც საჯარო რეესტრში რეგისტრირებული არ ყოფილა; ამიტომ ასეთი ქონების თაობაზე მემკვიდრეთა შორის დავის განხილვა და მასზე უფლების დადგენასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების გამოტანა სასამართლომ სრულიად მართებულად მიიჩნია, რომ ეწინააღმდეგება სამოქალაქო სამართლის ძირითად პრინციპებს. ვფიქრობთ, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო პალატამ სრულიად მართებულად განმარტა, რომ ისეთ ქონებაზე

დავის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება, რაც არ წარმოადგენს საარბიტრაჟო შეთანხმების მხარეთა საკუთრებას ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს.

- სხვა საარბიტრაჟო საქმეზე სააპელაციო სასამართლომ უარი უთხრა გამცხადებელს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ.ბ“ ქვეპუნქტის თანახმად (საჯარო წესრიგის დარღვევა) იმ საფუძველით, რომ „საქმეზე ცალსახად დადგინდა, რომ არბიტრაჟის კორესპონდენცია, რომელიც შეიცავდა საქმის მასალებს, ასევე უწყებები სხდომის დღის თაობაზე მოწინააღმდეგე მხარეს გაეგზავნა მხოლოდ ერთხელ მის იურიდიულ მისამართზე. მას არ გაგზავნია არბიტრაჟის კორესპონდენცია მის მიერ ხელშეკრულებაში მითითებული ადგილსმყოფელის მიხედვით და მის ფაქტობრივ მისამართზე. სასამართლომ საჯარო წესრიგის საწინააღმდეგოდ ცნო კერძო არბიტრაჟის პრაქტიკა, რადგანაც საარბიტრაჟო საქმეში არ მოიპოვებოდა რაიმე დოკუმენტი, ან მტკიცებულება, რითიც დადასტურდებოდა თუ რით ხელმძღვანელობდა არბიტრაჟი მოპასუხისათვის გზავნილის გაგზავნისას. ამასთან, მხარეთა ჯეროვანი ინფორმირების საკითხი იმდენად პრობლემატურია, რომ ცალკე დეტალურ განხილვას იმსახურებს (იხ. ქვემოთ).

შუალედური დასკვნა:

სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ მოქმედი არბიტრაჟები ხშირ შემთხვევაში იღებენ იმ სახის გადაწყვეტილებას, რაც წინააღმდეგობაში მოდის საჯარო წესრიგის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებთან, რაც თავის მხრივ ეჭვს ბადებს არბიტრაჟების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სამართლიანობისადმი და იწვევს არბიტრაჟის ინსტიტუტის, როგორც ასეთის დისკრედიტაციას საზოგადოებისა თუ სახელმწიფოს წინაშე.

3. მხარეთა ჯეროვანი ინფორმირება:

კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრობლემას, რომლის საფუძველზეც ხშირად ხდება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა–აღსრულებაზე უარის თქმა, წარმოადგენს საარბიტრაჟო დავის მონაწილე მხარის ჯეროვანი ინფორმირების საკითხი.

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 45–ე მუხლის პირველი ნაწილის „ა.გ“ ქვეპუნქტის თანახმად, იმ ქვეყნის მიუხედავად, სადაც გამოტანილ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, ამ გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე მხარეს შესაძლოა უარი ეთქვას, თუ მხარე არ იყო ჯეროვნად ინფორმირებული არბიტრის დანიშვნის ან საარბიტრაჟო განხილვის შესახებ ან სხვა საპატიო მიზეზის გამო ვერ მიიღო მონაწილეობა საარბიტრაჟო განხილვაში.

მაგალითად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 25 იანვრის განჩინებაში საქმეზე #, სააპელაციო პალატა განმარტავს, რომ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 45–ე მუხლის პირველი ნაწილის „ა.გ“ ქვეპუნქტის კონტექსტში „ჯეროვანი ინფორმირება“ შეფასებითი კატეგორიაა და მასში იგულისხმება საარბიტრაჟო განხილვის თაობაზე მხარისათვის ინფორმაციის მიწოდება გონივრულ ვადებში, იმ ვარაუდით, მას ჰქონდეს სასამართლოში დროულად გამოცხადებისა და საქმის მომზადებისათვის გონივრული ვადა. ამასთან, სასამართლო განმარტავს, რომ საქმის მომზადებისთვის გონივრული ფარგლები განსხვავდება მოსარჩელისა და მოპასუხისთვის, მოცემულ შემთხვევაში პრედენდენტისა და მოწინააღმდეგე მხარისთვის, ვინაიდან, პრედენდენტი, თავისი საპროცესო სამართლებრივი სტატუსიდან გამომდინარე, იმთავითვე ინფორმირებულია დავის არსისა და მოთხოვნის საფუძველების თაობაზე, რაც არ შეიძლება ითქვას მოწინააღმდეგე მხარეზე. აღნიშნულ შემთხვევაში საარბიტრაჟო განხილვა ჩატარდა თბილისში 3 დეკემბერს, ხოლო მოწინააღმდეგე მხარეს უწყება ჩაბარდა პირველ დეკემბერს ქალაქ ზუგდიდში. შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ დარღვეულია საარბიტრაჟო განხილვის ჯეროვანი ინფორმირების გონივრული ფარგლები.

საპროცესო საჯარო წესრიგთან მიმართებით მნიშვნელოვანია თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 10 აპრილის განჩინება საქმეზე №2ბ/1268-12 საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის შესახებ. პალატამ განმარტა, რომ საჯარო წესრიგის

ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე საარბიტრაჟო მოსარჩელის მიერ საარბიტრაჟო მოპასუხის მისამართად თუნდაც რეგისტრირებული იურიდიული მისამართის მითითება, რომელზეც მოპასუხეს არ ბარდება არბიტრაჟის მიერ გაგზავნილი კორესპოდენცია, არ ათავისუფლებს საარბიტრაჟო მოსარჩელეს მისთვის ცნობილი მოპასუხის ფაქტობრივი მისამართის ან კომუნიკაციის სხვა საშუალებებით შეტყობინების ვალდებულებისაგან. პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხედ იურიდიული პირის მითითების შემთხვევაში საარბიტრაჟო მოსარჩელეს უნდა მოეთხოვოს ყველა შესაძლო რეკვიზიტის მითითება. ამასთანავე, იურიდიული პირის შემთხვევაში გარდა მისი იურიდიული მისამართისა, ხელმისაწვდომია ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების ვინაობის დადგენა და მოსარჩელეს აქვს შესაძლებლობა მათი მონაცემებიც მოიძიოს და მიუთითოს არბიტრაჟს. შესაბამისად, საჯარო პუბლიკაციის გამოქვეყნებამდე არბიტრაჟმა საარბიტრაჟო მოსარჩელეს მაქსიმალურად უნდა მოსთხოვოს იურიდიული პირისა და მის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების საკონტაქტო მონაცემების მითითება და მხოლოდ ამის შემდგომ შეუძლია იმსჯელოს საჯარო შეტყობინების გამოყენების აუცილებლობაზე. მოცემულ შემთხვევაში კი დგინდება, რომ საარბიტრაჟო მოსარჩელემ მიუთითა მოპასუხის მხოლოდ იურიდიული მისამართი, თუმცა საქმის მასალებიდან დგინდება, რომ სადავო ხელშეკრულებაში მოპასუხის იურიდიული მისამართის გარდა მითითებულია აგრეთვე დირექტორის მისამართიც, რომელზედაც უნდა მომხდარიყო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა კორესპოდენციის გადაგზავნა. ამდენად, პალატის აზრით, საარბიტრაჟო მოსარჩელემ იმთავითვე იცოდა, რომ მოპასუხეს იურიდიულ მისამართზე გზავნილი ვერ ჩაბარდებოდა, ასევე იცოდა მოპასუხის ფაქტობრივი ადგილსამყოფელის თაობაზე, თუმცა ამის შესახებ არ აცნობა არბიტრაჟს და შემოიფარგლა მხოლოდ ფორმალურად მოპასუხის იურიდიული მისამართის მითითებით.

პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მოპასუხე არ იყო სათანადოდ გაფრთხილებული საარბიტრაჟო სხდომის თაობაზე, რის გამოც არბიტრაჟი არ იყო უფლებამოსილი მიეღო გადაწყვეტილება მხარის დასწრების გარეშე. აღნიშნული კი

ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს, რის გამოც განმცხადებელს უარი უთხრა გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე.

ასევე მნიშვნელოვანია თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 27 ივლისის განჩინება საქმეზე №28/1569-10. პალატამ განმარტა, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილიდან ცხადი ხდება, რომ არბიტრაჟს არ გამოურკვევია იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის მესაკუთრის ვინაობა, შესაბამისად არბიტრაჟი ვალდებული იყო საარბიტრაჟო წარმოებისას მხარედ მოეწვია უძრავი ნივთის მესაკუთრე, ვინაიდან გადაწყვეტილება გავლენას ახდენს მის უფლებებსა და მოვალეობებზე. სააპელაციო პალატის მიერ არბიტრაჟიდან გამოთხოვილი მასალებით კი ირკვევა, რომ არბიტრაჟს იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის მესაკუთრისათვის არ გაუგზავნია შეტყობინება და არ უცნობებია მის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის მიმართ საარბიტრაჟო წარმოების დაწყებისა და შესაძლო რეალიზაციის თაობაზე. პალატამ ასევე მიუთითა, რომ არ ეცნობა რა მესაკუთრეს მის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის მიმართ საარბიტრაჟო წარმოების დაწყების თაობაზე, ამით დაირღვა საჯარო წესრიგი- საქართველოს კანონმდებლობით იმპერატიულად დადგენილი ნორმები და მოთხოვნები. კერძოდ დაირღვა საქართველოს კონსტიტუციით დაცული პირის საკუთრების უფლება, რადგან აღსრულება მიექცა უძრავ ნივთზე ისე, რომ მესაკუთრისათვის არაფერი იყო ცნობილი ამის შესახებ. აღნიშნულის თაობაზე მისთვის შეტყობინებას კი შეიძლება გამოეწვია ის შედეგი, რომ მესაკუთრე ისარგებლებდა სსკ-ის 292-ე მუხლით მინიჭებული უფლებით, კერძოდ, უძრავი ნივთის მესაკუთრე უფლებამოსილია დააკმაყოფილოს კრედიტორი, როცა მოთხოვნის შესრულების ვადა უკვე დადგა, ან როცა პირადი მოვალე უფლებამოსილია შეასრულოს შესაბამისი მოქმედება. თუ მესაკუთრე არ არის პირადი მოვალე, მოთხოვნა გადადის მასზე მაშინ, როცა მესაკუთრე კრედიტორს დააკმაყოფილებს.

ამდენად, პალატის აზრით, კონკრეტულ შემთხვევაში დარღვეული იქნა “არბიტრაჟის შესახებ” საქართველოს კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის ბ.

ქვეპუნქტი, რაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველია.

შუალედური დასკვნა:

სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ მოქმედი არბიტრაჟები უხეშად არღვევენ პროცესში მონაწილე მხარეთა საპროცესო უფლებებს მხარეთა ჯეროვანი ინფორმირების კუთხით.

4.ინტერესთა კონფლიქტი :

ერთ–ერთ პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს ინტერესთა კონფლიქტი, რომლის არსებობის საფუძველზე სასამართლო ხშირ შემთხვევაში უარს ეუბნება მხარეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა–აღსრულებაზე.

ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევები გვხდება სასამართლო პრაქტიკის ანალიზისას. ინტერესთა კონფლიქტის საინტერესო მაგალითია თბილისის სააპელაციო სასამართლოს 20.07.2011 წლის გადაწყვეტილება საქმეზე №28/2130-11.

როგორც ზემოთ აღნიშნა, სასამართლომ ინტერესთა კონფლიქტად მიიჩნია ის გარემოება, რომ საარბიტრაჟო პროტენზიის მქონე იურიდიული პირის საწესდებო კაპიტალის 67%-ის და დავის გამხილველი მუდმივმოქმედი არბიტრაჟის საწესდებო კაპიტალის 16.65%-ის წილის მესაკუთერს ერთი და იგივე ფიზიკური პირი წარმოადგენდა. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ: „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობის და აღსრულების უარის თქმის საფუძველები. აღნიშნული მუხლის „ბ.ბ“ პუნქტით მხარეს უარი ეთქმება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობაზე თუ იგი ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს. ამავე გადაწყვეტილებაში სასამართლომ განმარტა: იმისდა მიუხედავად, რომ არც სამოქალაქო საპროცესო კოდექსი და არც „არბიტრაჟის შესახებ“ კანონი არ შეიცავს „საჯარო წესრიგის“ კანონისმიერ დეფინიციას, ნორმის ლოგიკური ანალიზიდან გამომდინარე საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, რომლითაც არსებითად ილახება მხარეთა საპროცესო უფლება, მისი საქმე განიხილოს დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა

არბიტრამა, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს“.

ამ საქმეზე სასამართლომ აღნიშნა, რომ არბიტრი მიუკერძოებელია, თუ არ არსებობს რაიმე ისეთი გარემოება, რომელმაც შეიძლება წარმოშვას საფუძვლიანი ეჭვი არბიტრის მიკერძოებასთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, აღნიშნული არბიტრის ან არბიტრაჟის თაობაზე არსებობდა თუ არა საარბიტრაჟო შეთანხმება.

შუალედური დასკვნა:

სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ სააპელაციო სასამართლო აუქმებს არბიტრაჟის გადაწყვეტილებებს იმის გამო, რომ აღმოაჩენს ინტერესთა კონფლიქტს მოსარჩლესა და არბიტრაჟს შორის. ასევე არის შემთხვევები, როცა გადაწყვეტილება უქმდება “მხარეთა უფლებების თანაზომიერი დაცვის” პრინციპის დარღვევის დროს, როცა არბიტრი მიკერძოებულია. ანუ პრაქტიკა გამოყოფს ასეთი ტიპის საქმეებს, რაც მიუთითებს, რომ არბიტრი და არბიტრაჟი დამოკიდებული პირები არიან ან ერთმანეთზე ან დამფუძნებლებზე ან სულაც მსხვილ “დონორ” კლიენტზე, რაც კიდევ უფრო გვიმყარებს რწმენას, რომ არბიტრთა დამოუკიდებლობის და ინტერესთა კონფლიქტის აკრძალვის საკითხები რეგლამენტირებული უნდა იქნას კანონით.

5. ცნობისა და აღსრულების შესახებ განცხადების მიღებაზე უარი

ჩვენს ხელთ არსებული ანალიზი ცხადყოფს, რომ ხშირია შემთხვევები, როდესაც განმცხადებელს უარი ეთქვა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ განცხადების განსახილველად მიღებაზე, იმ მიზეზით, რომ სასამართლოში წარმოდგენილ მასალებში არ არის საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის ოქმი, მიუხედავად იმისა, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებიდან ირკვევა, რომ საარბიტრაჟო სარჩელი განხილული იქნა მხარეთა თანდასწრებით ზეპირი მოსმენით. გარდა ამისა, საქმის მასალებში არ მოიპოვება მტკიცებულებები და შეუძლებელია სასამართლოს მხრიდან იმის შემოწმება, ხომ არ არღვევს არბიტრაჟის მიერ მიღებული

6. შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო

სააპელაციო სასამართლოს პრაქტიკის შესწავლა-განზოგადების საფუძველზე შეიძლება დასკვნის გაკეთება იმასთან დაკავშირებითაც, რომ ხშირად ადგილი აქვს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ნაწილობრივ ცნობასა და აღსრულებას შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს გამო. როგორც ცნობილია, პირგასამტეხლო არის ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალება, მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის. სსკ-ის 418-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ პირგასამტეხლო, რომელიც შეიძლება აღემატებოდეს შესაძლო ზიანს. ამოწმებს რა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შესაბამისობას საჯარო წესრიგთან, მოპასუხისათვის დაკისრებული საჯარიმო სანქციების ოდენობასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას სრულყოფილად აქვს განსაზღვრული პირგასამტეხლოს დანიშნულება და განმარტავს, რომ მართალია მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ პირგასამტეხლო, რომელიც შეიძლება აღემატებოდეს შესაძლო ზიანს, მაგრამ მიუხედავად ამ დათქმისა სასამართლო თვლის, რომ ხშირად საქმეში მითითებული პირგასამტეხლო შეუსაბამოდ მაღალია. ასეთ პირობებში პირგასამტეხლოს დანიშნულება, როგორც ვალდებულების შეუსრულებლობის პრევენციის მეთოდი, კარგავს თავის ამგვარ დანიშნულებას და იქცევა მოვალის დასჯის ერთ-ერთ მექანიზმად, რაც დაუშვებელია და ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს. საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად სააპელაციო სასამართლო თვითონ განსაზღვრავს სამართლიან პირგასამტეხლოს და ამის შემდეგ უქვემდებარებს იძულებით აღსრულებას. ამ მხრივ აღსანიშნავია თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 23 იანვრის განჩინება საქმეზე №28/176-12, 2012 წლის 14 მარტის განჩინება საქმეზე №28/935-12; 2012 წლის 28 მარტის განჩინება საქმეზე

№28/1209-12; 2012 წლის 12 აპრილის განჩინება საქმეზე №28/1355-12; 2012 წლის 26 აპრილის განჩინება საქმეზე №28/1601-12; 2012 წლის 10 მაისის განჩინება საქმეზე №28/1708-12; 2012 წლის 11 მაისის განჩინება საქმეზე №28/1730-12; 2012 წლის 14 მაისის განჩინება საქმეზე №28/1808-12;

ვფიქრობთ, სააპელაციო სასამართლოს მიერ პირგასამტეხლოს შემცირებასთან დაკავშირებული პრაქტიკა სწორად დასაბუთებული და სამართლიანია, რადგან სასამართლოს ამოცანაა მხარე დაიცვას უსამართლო და სამოქალაქო ბრუნვისათვის მიუღებელი ტვირთისაგან, ვინაიდან ურთიერთობის დამყარებისას მხარეები ყოველთვის ვერ საზღვრავენ მათი თავისუფალი ნების გამოვლენის შედეგებს. სასამართლო ახდენს პირგასამტეხლოს სამართლიან შემცირებას მხედველობაში ღებულობს რა, თუ როგორია შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობისა და არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ საარბიტრაჟო განხილვის შედეგად არბიტრაჟი ხშირად არ ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სპეციალურ დანაწესს არაგონივრულად მაღალი პირგასამტეხლოს შემცირების თაობაზე, ხოლო მეორეს მხრივ იკვეთება რეალობა, რომ ჯერ კიდევ სახელშეკრულებო ურთიერთობის სტადიაზე მხარეები თანხმდებიან არაგონივრული პირგასამტეხლოს ოდენობაზე, რაც შეიძლება განპირობებული იყოს თავის მხრივ ან სამოქალაქო საზოგადოების სამართლებრივ სტანდარტებზე დაბალი ინფორმირებულობით ან/და სახელშეკრულებო მხარეთაგან ერთ-ერთი მხარის - კრედიტორის მხრიდან თავისი მონოპოლიური მდგომარეობის (საბაზრო ძალაუფლების) ბოროტად გამოყენებით.

ყურადღება უნდა გავამახვილოთ ისეთ პრობლემატურ საკითხთან მიმართებით, როგორცაა სასამართლოს მიერ პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირება თავისი ინიციატივით, როდესაც საარბიტრაჟო განხილვის მოპასუხე (მოწინააღმდეგე) მხარე თვითონ სადავოდ არ ხდის მისთვის დაკისრებული გადასახდელი პირგასამტეხლოს ოდენობას. ამ საკითხთან დაკავშირებით ქართულ სამართლებრივ დოქტრინაში არსებობს ორი შეხედულება: მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ

შემთხვევაში ნამდვილად ირღვევა შეჯიბრებითობის პრინციპი, რადგან მხარეები თვითონ განსაზღვრავენ, რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებსა და შესაგებელს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. მეცნიერთა მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირება წარმოადგენს სასამართლოს დისკრეციულ უფლებამოსილებას და მას შეუძლია იმსჯელოს ამ საკითხზე თავისი ინიციატივითაც, იმის მიუხედავად, მოითხოვს თუ არა მოპასუხე პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირებას.

მეორე მოსაზრება უფრო მართებულადაა მიჩნეული უნიფიცირებული სასამართლო პრაქტიკით, რასაც შემდეგი არგუმენტები ამყარებს: მართალია მხარეები თავისუფალნი არიან პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრაში, თუმცა ეს თავისუფლება გარკვეული ფასეულობებითაა შეზღუდული, რომლის მიზანიცაა სამართლიანი სამოქალაქო ბრუნვის უზრუნველყოფა. კრედიტორმა არ უნდა “აიძულოს” მოვალე აშკარად უსამართლო პირობებს მოაწეროს ხელი. ამიტომაცაა, რომ პირგასამტეხლოზე შეთანხმებისას მისი ოდენობა უნდა განისაზღვროს სამართლიანობის საფუძველზე. შესაძლებელია მხარეები იმ ოდენობის პირგასამტეხლოზე შეთანხმდნენ, რისი გადახდევინებაც შემდგომ მძიმე ტვირთად დააწვება მოვალეს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8 მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. ურთიერთობის მონაწილეთა ინტერესების დაპირისპირება კი არა, არამედ მათი სოლიდარობაა ნორმალური სამოქალაქო ბრუნვის საფუძველი. კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მოქმედებას გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით, ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას. კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში განსაკუთრებით გამოკვეთილია ნდობისა და კეთილსინდისიერების როლი, რომ მთავარია ვალდებულების შესრულება და არა პასუხისმგებლობა ვალდებულების შეუსრულებლობისათვის. რადგანაც საჯარო წესრიგის შემადგენლად ითვლება ისეთი პრინციპები, როგორცაა ნდობა და კეთილსინდისიერება, რომელთა დარღვევით ილახება არა მხოლოდ ურთიერთობის

კონკრეტული მონაწილის უფლებები, არამედ სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესები, ამიტომაც მართებულია სააპელაციო სასამართლოს მოქმედება, როდესაც ამოწმებს რა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შესაბამისობას საჯარო წესრიგთან მოპასუხისათვის დაკისრებული საჯარიმო სანქციების ოდენობასთან დაკავშირებით, თავისი ინიციატივით ამცირებს შეუსაბამოდ მაღალ პირგასამტეხლოს იმ საფუძვლით, რომ თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში მითითებული პირგასამტეხლო შეუსაბამოდ მაღალია, ასეთ პირობებში პირგასამტეხლოს დანიშნულება, როგორც ვალდებულების შეუსრულებლობის პრევენციის მეთოდი, კარგავს თავის ამგვარ დანიშნულებას და იქცევა მოვალის დასჯის ერთ-ერთ მექანიზმად, რაც დაუშვებელია და ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს.

ამდენად, სასამართლო პრაქტიკის კვლევამ აჩვენა, რომ 2010-2011 წლების თბილისის და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების განჩინებათა უმრავლესობა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს გამო.

შუალედური დასკვნა :

სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ საარბიტრაჟო განხილვის შედეგად კერძო არბიტრაჟები არ ითვალისწინებენ სამოქალაქო კოდექსის სპეციალურ დანაწესს არაგონივრულად მაღალი პირგასამტეხლოს შემცირების თაობაზე, ხოლო მეორე მხრივ, იკვეთება რეალობა, რომ ჯერ კიდევ სახელშეკრულებო სტადიაზე მხარეები თანხმდებიან არაგონივრულ პირგასამტეხლოს განაკვეთებზე, რაც შეიძლება განპირობებულ იყოს თავის მხრივ ან სამოქალაქო საზოგადოების სამართლებრივ სტანდარტებზე დაბალი ინფორმირებულობით ან/და სახელშეკრულები მხარეთაგან ერთ-ერთი მხარის მხრიდან (კრედიტორი მხარის მხრიდან) თავისი 'მონოპოლიური მდგომარეობით' უხეშად სარგებლობით.

7. გირავნობის საგნის რეალიზაციასთან დაკავშირებული საკითხები :

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა გახლავთ გირავნობით დატვირთული ნივთების იძულებით აუქციონზე რეალიზაცია. 2010–2011 წლებში ასეთმა პრობლემატურმა საკითხებმა იჩინა თავი არბიტრაჟის გადაწყვეტილებებში. გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით არბიტრაჟები ხშირად ადგენდნენ ისეთი ნივთების რეალიზაციას იძულებით აუქციონზე, რომლებიც არ ყოფილა გირავნობის საგანი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 254-ე მუხლის თანახმად, მოვალის ან მესამე პირის მოძრავი ნივთი ან/და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომლის სხვა პირთათვის გადაცემა დასაშვებია, შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ფულადი, ისე არაფულადი მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად, ისე, რომ კრედიტორი (მოგირავნი) იძენს უფლებას, დაიკმაყოფილოს მოთხოვნა დაგირავებული ქონების (გირავნობის საგნის) რეალიზაციით ან მხარეთა შეთანხმებით – მისი საკუთრებაში მიღებით მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში. მოგირავნეს სხვა კრედიტორებთან შედარებით გირავნობის საგნიდან აქვს თავისი მოთხოვნის უპირატესი დაკმაყოფილების უფლება.

სამოქალაქო კოდექსის 255-257-ე მუხლების შესაბამისად, სასამართლომ მკაცრად განსაზღვრა, რომ მოთხოვნა შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს მფლობელობითი გირავნობით, რა დროსაც გირავნობის საგანი გადადის მოგირავნის ან მის მიერ განსაზღვრული პირის მფლობელობაში, ან რეგისტრირებული გირავნობით, რა დროსაც გირავნობის ხელშეკრულება უნდა იქნეს დარეგისტრირებული საჯარო რეესტრში. რიგ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია გირავნობის ხელშეკრულების არც ერთი აღნიშნული ფორმის დაცვას, შესაბამისად ხელშეკრულება არ შეიძლება დადებულად ჩაითვალოს. ამდენად, საარბიტრაჟო პრეტენზიის დაკმაყოფილება გირავნობით დატვირთული ნივთების რეალიზაციის მოთხოვნის ნაწილში, ეწინააღმდეგება კანონს.

დასახელებული გირავნობის ხელშეკრულებები არ ყოფილა რეგისტრირებული საჯარო რეესტრი და არც გირავნობის საგანი გადასულა მოგირავნის მფლობელობაში.

საინტერესო მაგალითია თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2010 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმეზე #, რომლითაც ნაწილობრივ დააკმაყოფილა პირის საკუთრებაში არსებული გირავნობით დატვირთული აღჭურვილობა-დანადგარების რეალიზაცია იძულებით აუქციონზე. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გირავნობით დატვირთული

საგნების რეალიზაციის ნაწილში ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 255-ე მუხლით განსაზღვრულია გირავნობის ორი სახე: მფლობელობითი გირავნობა და რეგისტრირებული გირავნობა. ამავე კოდექსის 257-ე მუხლის პირველი ნაწილით მოძრავ ნივთზე მფლობელობითი გირავნობა წარმოიშობა მხარეთა შეთანხმებისა და ნივთის მოგირავნის ან მოგირავნის მიერ განსაზღვრული მესამე პირის მფლობელობაში გადაცემის გზით, ხოლო 258-ე მუხლის პირველი ნაწილით რეგისტრირებული გირავნობის წარმოშობისათვის აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და ამ გარიგებით განსაზღვრული გირავნობის უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. ამ შემთხვევაში გამომდინარე იქიან, რომ სახეზე არ არის გირავნობის წარმოშობის არც-ერთი კანონით განსაზღვრული ფორმა, მოძრავი ნივთის მოგირავნის მფლობელობაში გადაცემა დაუშვებელია.

(V) დასკვნა:

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი საფუძველს გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა, რომ საქართველოს სინამდვილეში, მრავალ შემთხვევაში, საეჭვოა არბიტრაჟების პროფესიონალიზმი, ხდება წინასწარ მიკერძოებული გადაწყვეტილებების მიღება და ხელოვნურადაა უგულვებელყოფილი მხარეთა თანაზომიერი დაცვის უფლება, რითაც ხდება დავების ალტერნატიული სამართლებრივი გადაწყვეტის მექანიზმის იდეის დისკრედიტაცია. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ საქართველოს სინამდვილეში არბიტრაჟის ინსტიტუტის არაეფექტურობის ძირითადი მიზეზებია: (ა) არბიტრაჟის (არბიტრის) თავისუფალი არჩევის (შერჩევის) არარსებობა (იშვიათი გამონაკლისის გარდა); (ბ) არბიტრაჟის დამოუკიდებლობის, არბიტრის და არბიტრაჟის ერთმანეთისაგან გამიჯვნის არარსებობა (ინტერესთა კონფლიქტი); (გ) არბიტრთა პროფესიული სტანდარტების არარსებობა, რაც წარმოადგენს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის ძირითად საფუძველს.

(vi) რეკომენდაციები

ზემოაღნიშნული პრობლემების გამოსასწორებლად აუცილებლად მიგვაჩნია, არბიტრაჟის საკანონმდებლო ჩარჩოს ზოგიერთი დებულების დამატებითი რეგლამენტაცია, ცვლილება. კეროდ, (ა) არბიტრთა შერჩევის სისტემის და პროცედურების იმ კუთხით დახვეწა და რეგულირება, რითაც მოხდება დომინანტური საბაზრო ძალაუფლების მქონე კონტრაგენტის მხრიდან უფლებების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილება; (ბ) მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟების ფუნქციონირების მოთხოვნების მკაფიოდ დარეგულირება, რათა თავიდან იქნეს აცილებული მუდმივმოქმედი არბიტრაჟების მხრიდან კონკრეტული არბიტრის საქმიანობაში (საქმის განხილვაში) არამართლზომერი ჩარევა; (გ) არბიტრისათვის სავალდებულო კრიტერიუმების შემოღება (მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები, გამოცდილების ცენზი, არანასამართლობის ცენზი, etc).

სასამართლოში წარმართული საარბიტრაჟო საქმეთა ანალიზის შედეგად დადასტურდა, რომ მოქმედი არბიტრაჟებისადმი უნდობლობის ძირითად მიზეზს არბიტრთა შერჩევის არასამართლიანი წესი წარმოადგენს, რომელსაც კანონის საგამონაკლისო ნორმის საფუძველზე, დომინანტური საბაზრო ძალაუფლების მქონე პირები ადგენენ ცალმხრივად, რაც არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს კონტრაგენტებს. ამდენად, მიგვაჩნია, რომ არბიტრების შერჩევის წესი, როგორც *ad hoc*, ისე მუდმივმოქმედი არბიტრაჟზე შეთანხმების შემთხვევაში, რეგლამენტირებული უნდა იყოს მხოლოდ კანონით და არა მხარეთა ცალკე შეთანხმებით, რათა დომინანტური ძალაუფლების მქონე მხარეს არ მიეცეს შესაძლებლობა ბოროტად გამოიყენოს საბაზრო ძალაუფლება და თავიდან იქნას აცილებული მიკერძოებული და არადამოუკიდებელი პირის არბიტრად დანიშვნის შესაძლებლობა. აღნიშნულის გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლიდან ამოღებულ უნდა იქნას მე-2 პუნქტი, ხოლო მე-11 მუხლი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ მუხლი 11. არბიტრების დანიშვნა

1. დაუშვებელია პირის არბიტრად დანიშვნა მისი თანხმობის გარეშე. არბიტრობაზე თანხმობა პირმა უნდა განაცხადოს წერილობით.

2. არბიტრის (არბიტრების) დანიშვნა ხორციელდება შემდეგი პროცედურით:

ა) სამი არბიტრისაგან შემდგარი არბიტრაჟის შემთხვევაში თითოეული მხარე ნიშნავს ერთ არბიტრს და ამ წესით დანიშნული ორი არბიტრი ნიშნავს არბიტრაჟის თავმჯდომარეს. თუ ერთ-ერთი მხარე არ დანიშნავს არბიტრს მეორე მხარის მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის ვადაში ან თუ ორი არბიტრი მათი დანიშენიდან 30 დღის ვადაში ვერ შეთანხმდება მესამე არბიტრის დანიშვნაზე, ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე არბიტრს ნიშნავს სასამართლო განცხადების წარმოებაში მიღებიდან 30 დღის ვადაში;

ბ) ერთი არბიტრისაგან შემდგარი არბიტრაჟის შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან არბიტრის დანიშვნაზე, ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე არბიტრს ნიშნავს სასამართლო განცხადების წარმოებაში მიღებიდან 30 დღის ვადაში.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული არბიტრაჟის ან სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

4. პირი, რომელიც უნდა დაინიშნოს არბიტრად, ვალდებულია არბიტრის მოვალეობის შესრულების დაწყებამდე საარბიტრაჟო წარმოების მხარეებს, არბიტრაჟს და სასამართლოს, მათი მოთხოვნის შემთხვევაში, წარუდგინოს წერილობითი ინფორმაცია განათლების, არბიტრის სტატუსთან შესაბამისობის და არბიტრად მუშაობის გამოცდილების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

5. დაუშვებელია პირის არბიტრად დანიშვნა, თუ იგი არის:

ა) ქმედუუნარო ან შეზღუდულქმედუნარიანი;

ბ) სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი ან მოხელე;

გ) მსჯავრდებული დანაშაულის ჩადენისათვის და მოხსნილი ან გაქარწყლებული არა აქვს ნასამართლობა. “

არბიტრაჟის ინსტიტუტის განვითარების თანამდროვე ეტაპზე, პროექტის განმახორციელებლებს და საკონსულტაციო საბჭოს მიზანშეწონილად მიაჩნით კანონით განისაზღვროს თუ ვინ შეიძლება იყოს არბიტრი. ამ კუთხით, მნიშვნელოვანია დადგინდეს არბიტრის მინიმალური საკვალიფიკაციო სტანდარტები და პროფესიული პასუხისმგებლობის წესი. იმის გათვალისწინებით, რომ საარბიტრაჟო წარმოება დიდწილად ფსევდო-სასამართლო წარმოებაა და დავის განხილვა ხდება მხარეთა მიერ არჩეული სამართლის ნორმების შესაბამისად (არბიტრაჟს შესახებ კანონის 36-ე მუხლის

1-ლი პუნქტი), ხოლო საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მოქმედი კანონმდებლობით ექვემდებარება სავალდებულო ცნობა-აღსრულებას, რომლის დროსაც სასამართლოს მიერ, სხვაგვარადაც, მოწმდება გადაწყვეტილების შესაბამისობა საჯარო წესრიგთან, მიგვაჩნია, რომ არბიტრს უნდა გააჩნდეს იურისტის კვალიფიკაცია (რეალურადაც, პრაქტიკაში საქართველოში მოქმედი არბიტრების აბსოლუტური უმრავლესობა პროფესიით იურისტია), განგრძობადი პროფესიული განვითარების პასუხისმგებლობა და ექვემდებარებოდეს პროფესიული ქცევის წესებს. ამ კრიტერიუმებით რეგულირებულ საქმიანობას საქართველოში წარმოადგენს საადვოკატო საქმიანობა, ამიტომაც მიზანშეწონილი იქნება არბიტრი იყოს სწორედ ადვოკატის სტატუსის მატარებელი პირი, ანუ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი საერთო ან სამოქალაქო სოციალიზაციით. ამასთან, არბიტრის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს ყოფილ მოსამართლეს, რომელსაც გააჩნია სამოქალაქო საქმეთა მოსამართლედ მუშაობის სულ მცირე 1 წლის სტაჟი და სამართლის დოქტორს. ამასთან, პროექტის განხორციელებისას გამოიკვეთა მოსაზრება, რომ მხარეებს უნდა შეეძლოთ არბიტრად სხვა პროფესიის პირის დანიშვნაც ურთიერთშეთანხმებით, რადგანაც მხარეთა ერთობლივი ნების გამოვლენა უმნიშვნელოვანესია საარბიტრაჟო წარმოებისათვის. აღნიშნულის გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 1-ლ პუნქტს უნდა დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ“ ქვეპუნქტი:

„გ) „არბიტრი“ - თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმებულან, არის მხარეთაგან დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და ქმედუნარიანი პირი, რომელიც არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი ადვოკატი საერთო ან სამოქალაქო სპეციალიზაციით, ყოფილი მოსამართლე, რომელსაც გააჩნია მოსამართლედ მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი სამოქალაქო სპეციალიზაციით ანდა სამართლის დოქტორი.“

ამასთან, აღსანიშნავია, რომ არბიტრაჟის მოქმედი საკანონმდებლო ჩარჩოთი რეგლამენირებული არაა მუდმივმოქმედი არბიტრაჟების საქმიანობის წესი და თავისებურებები. ასევე არაა გამიჯნული მუდმივმოქმედი არბიტრაჟის, როგორც საარბიტრაჟო ინტიტუტის და თავად საქმის გამხილველი არბიტრების კომპეტენცია და უფლებამოსილებები, რაც მიგვაჩნია, რომ საკითხის სამომავლო კვლევის საგანი უნდა გახდეს.